პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
სამშაბათი
20
ივლისი
№ 168
(16598)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სიტყვები, რომლებიც გვრაზმავენ

საკპ ცენტრალურ კომიტეტს, თუმცა მიაჩნია, რომ მხოლოდ დასაბამი მიეცა იმ დიდ მუშაობას, რომელიც მომავალშიც უნდა წარმოებდეს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის ინტერნაციონალიტიკური აღზრდისათვის, იდეოლოგიურ მუშაობაში — რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გაზრდილი აქტივობა კიდევ უფრო ეფექტიანებს უქმნის იმ ამოცანების უფრო წარმატებით შესრულებას, რომლებიც ამ დარგში დასახა საკპ XXV ყრილობამ. იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად პარტიულმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის პერსპექტიული კომპლექსური გეგმები, მიაღწიონ მეათე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაში, ახალი ადამიანის აღზრდაში ყველა იდეოლოგიური დაწესებულების, პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი ძალებისა და საშუალებების ღონისძიებათა უფრო მოფიქრებულ კოორდინაციას.

საკპ ცენტრალური კომიტეტის
1976 წლის 22 ივნისის დადგენილებიდან

ტემპი, ტემპი, მექანიზატორებო!

კომბაინერთა შეჯიბრება

18 ივლისს...

გარდაბანი

ბიჭიკო მარუჩაშვილმა მარტყოფის საბჭოთა მეურნეობაში 11 ჰექტარი ხორბალი მომკა და ამით დღიური ნორმას 3 ჰექტარით გადააჭარბა. ჰექტარზე საშუალოდ 29 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

შოთა ელიზბარაშვილმა გამარჯვების საბჭოთა მეურნეობაში პურეულის მოსავალი 10 ჰექტარზე აიღო 8 ჰექტარის ნაცვლად, ჰექტარზე საშუალოდ 26 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

მარნეული

ივანე დეკანოსიძემ მარნეულის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში ერთ დღეს პურეულის კომბაინი ღამის 12 საათამდე იმუშავა და ხორბლის მოსავალი 15 ჰექტარზე მომკა, ჰექტარზე საშუალოდ რაიონში სარეკორდო მოსავალი — 50 ცენტნერი მარცვლეული მიიღო.

კასპი

გრიგოლ ნავროზაშვილმა კასპის კოლმეურნეობაში ერთ დღეს პურეულის მოსავალი 9 ჰექტარზე აიღო, ჰექტარზე საშუალოდ 28,5 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

გორი

ნოდარ მარგიევმა შავშვების კოლმეურნეობაში პურეული მომკა 6 ჰექტარზე და ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი ქერის მარცვალი გალეწა.

ლაგოდეხი

ზურაბ შუბითიძემ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" პურეული მომკა 10 ჰექტარზე ნაცვლად 8 ჰექტარისა და ჰექტარზე საშუალოდ 18,5 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

წითელწყარო

სულიკო სუნტაძემ ზემო ქედის კოლმეურნეობაში პურეული მომკა სულ 182 ჰექტარზე, ჰექტარზე საშუალოდ 37 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

გიორგი იაკობაშვილმა ზემო მაჩხანის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავალი აიღო 154 ჰექტარზე და ჰექტარზე საშუალოდ 32 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ბურჯაანი

ვალიკო სოლოღაშვილმა კაბრეთის კოლმეურნეობაში ერთ დღეს პურეული მომკა 9 ჰექტარზე 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე 32,5 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ჰექტარზე 50 ცენტნერი ხორბალი

მარნეულის რაიონის მზრდელ-მთესველებმა მზრუნველი ხელი არ მოაკლეს პურეულის ნათესებს და შედეგიც კარგია. იმკიან თავიანთი შრომის ნაყოფს. 1.300 ჰექტარი ქერი უკვე აიღეს. ახლა ყველგან მასობრივად მკიან ხორბალს. 2.600 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 24,7 ცენტნერი მარცვალი.

როგორც საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა გვაცნობა, პურეულის მკის საქმეში ყოველდღე 80 კომბაინი მუშაობს. 4 ათას ჰექტარამდე მოსავალი კიდევ ასაღებია. ამინდი ჭირვეულობს, ამიტომ მარტო დღისით კომბაინის მუშაობით მოსავალს დროზე უდანაკარგოდ ვერ დავაბინავებთ. პურეულს მკაზე 55 კომბაინი ღამითაც უნდა ვამუშაოთ.

ჯერჯერობით 30 კომბაინი ღამითაც იღებს პურეულს მოსავალს და ყოველ ღამე 250-300 ჰექტარზე მეტი პურეული იმკება. ამ მხრივ შრომა კარგად მიაწყვეს წერეთლის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. შუბითიძე). პირველი აქაურმა კომბაინერმა ვლადიმერ სამხარაძემ დაიწყო ღამითაც პურის მკა და ხორბალს 12-13 ჰექტარზე იღებს, საშუალოდ ჰექტარზე 32 ცენტნერ მარცვალს ლეწავს.

მეურნეობის დირექციას, პარტიულ ორგანიზაციას მექანიზატორებისთვის ყველა პირობა შეუქმნია. კომბაინი რომ არ გაცდეს, პურეულის აღების დროს მანქანის გაუჩერებლად კომბაინის ბუნკერიდან გალეწილი მარცვლეთ იტვირთება ავტომანქანა და იქიდან სწრაფად იგზავნება კალოზე, შემდეგ ახარისხებენ და მარნეულის პურპროდუქტების ბაზაში მიაქვთ. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ ლეწავენ 32 ცენტნერ მარცვალს.

კომბაინს სრული დატვირთვით იყენებენ აგრეთვე მიხეილ ბარბაქაძე და აშოტ აროქელიანი. ისინი პირველობის მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან და ხორბლის მკის დღე-ღამის დავალებას გადაჭარბებით ანაღდებენ.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება-დაბინავებაში კომბაინებს დღედაღამ შეუფერხებლად იმუშავებენ მარნეულის, შაუმიანის, შულავრის, გამარჯვების, ალგეთის, 26 კომისრის სახელობისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

ალვეთის მეგვინეობის საბჭოთა მეურნეობაში კომბაინერებისათვის ყველა პირობა შეუქმნია. მათ შეუძლიათ მინდორშივე მიიღონ ცხელი კერძი და სხვა საჭირო პროდუქტები. ასევე კარგად მიაწყვეს შრომა მუღანლოს (დირექტორი ნ. სინჯიაშვილი), მარნეულის საბჭოთა (დირექტორი ო. მანგაძე) და მარნეულის სახელმწიფო სანერგე მეურნეობებში (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი დ. შამათავა). სანერგე მეურნეობის მხვნელ-მთესველები რაიონში სარეკორდო მოსავალს იღებენ. გუშინ მექანიზატორმა ივანე დეკანოსიძემ კომბაინი დღისით და ღამით ამუშავა და პურეულის მოსავალი აიღო 15 ჰექტარზე. მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა — თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი „კავკაზის" ჯიშის ხორბლის მარცვალი გალეწა. მეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის წლიური გეგმა.

პურეულის მოსავლის აღების ტემპი დღითიდღე ძლიერდება.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი.

მუშა-მოსამსახურეები საკვებმოგპოვებელთა მხარდამხარ

წლეულს აბაშის რაიონში შესაძლებლობა არსებობს პირუტყვისათვის შექმნან წლინახევრის მარაგი. საკვებმომპოვებლებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. ნორიოს ი. ბ. სტალინის სახელობის, პირველი მაისის ვ. ი. ლენინის სახელობის, სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, სუჯუნის საბჭოთა მეურნეობაში ამ დღეებში შეასრულებენ სენაჟის დამზადების გეგმას.

რაიონში გეგმა-ვალდებულებით 7 ათასი ტონა სენაჟი უნდა დამზადდეს, და უკვე ათას ტონაზე მეტია დამზადებული. ყველგან შექმნილია სპეციალური საკვებმომპოვებელი ბრიგადები, რომელთა მსარდამხარ ყოველ შაბათსა და კვირას მუშაობენ რაიონის მუშა-მოსამსახურეები და ბალახს თიბავენ, ასილოსებენ. ამ მხრივ ქებაზე ღირსნი არიან შექანიკური ქარხნის, ავტოსატრანსპორტო, საქმაოო ფაბრიკისა და ცენტრალური საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეები, რომელთა მარჯვენით უკვე 70 ტონაზე მეტი ბალახი გაითიბა.

ბალახის გათიბვასა და სენაჟის დამზადებასთან ერთად მწვანე მასასაც იყენებენ პირუტყვის საკვებად. ამის შედეგად ნორიოს ი. ბ. სტალინის სახელობის, პირველი მაისის ვ. ი. ლენინის სახელობის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

ი. თოფურია,
გაზეთ „განახლებული აბაშის" რედაქტორის მოადგილე.

„სალუტ-5": ფრენა გრძელდება



ფრენის მართვის ცენტრი, 19 ივლისი. (საკდესი). მეთორმეტე და მეთორმეტე სამშაო დღის მსვლელობაში კოსმონავტები ბორის ვოლინოვი და ვიტალი ჟოლობოვი ფრენის დაგეგმილი პროგრამის შესრულებას განაგრძობენ.

სამედიცინო ექსპერიმენტების კომპლექსში იდგენდნენ კოსმონავტთა გამძლეობას ვერტიკალური პოზიციისადმი. ამისათვის სპეციალური ეაკუუმური ჟუჯელის დახმარებით ამცირებენ წნევას, რომელიც სხეულის ქვედა ნახევარზე მოქმედებს. ეაკუუმურ ჟილეტში ყოფნისას შეიძლება იდგალზე სიარული. ამასთან ხორციელდება კლინიკური კონტროლი გულისა და სუნთქვის ფუნქციებისადმი.

ეკიპაჟი პერიოდულად იკვლევს ფრენის მსვლელობაში შრომისუნარიანობის შეცვლას. ამ მიზნით მეთაური და ბორტინჟინერი ასრულებენ სადგურის ხელის მართვის იმიტაციის სპეციალურ ტესტებს, აგრეთვე განსაზღვრავენ დროის დანახარჯს ყველაზე შრომატევადი ოპერაციების შესრულების დროს.

დადასტურდა უწონობაში თევზის ქვირითის განვითარების კვლევის ბიოლოგიური ექსპერიმენტი.

18 ივლისს სადგურში დაიწყო ახალი ბიოლოგიური ექსპერიმენტი — თესლის აღმოსაცენზე. ამ ექსპერიმენტის დროს შეისწავლიან, თუ რა გაღენენას ახდენს კოსმოსური ფრენის ფაქტორები მცენარეულს უჯრედების დაყოფასა და მათს მეტაბოლიზმის აპარატზე. უკვე გაღიოდა ტენიანი თესლი.

ტელევიზიური ინფორმაციის მონაცემებითა და ეკიპაჟის მოხსენებების თანახმად, სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტები ვოლინოვი და ჟოლობოვი თავს კარგად გრძნობენ.

ენერგოზრასა ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე

პირველი საყრდენი ღაიდგა უსტ-ილიმს,-უსტ-კუტის 220 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ტრასაზე. ამ ხაზით ენერგია უსტ-ილიმის ჰიდროელექტროსადგურიდან წავა მდინარე ლენის ნაპირებისაკენ და ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დასავლეთ უბნამდე. 300 კილომეტრზე მეტი სიგრძის ეს ელექტროგადამცემი ხაზი გადაკვეთს ტაიგას ანგარისა და ლენის შუამდინარეთში, ჭაობებსა და მთებს, მდინარე იგირმას და დასხლეთ 20 სხვა წყლის დაბრკოლებას.

ტრასა უნდა დამთავრდეს წლის დამლევისათვის. ლენის ნაპირზე „ბრატსკეესმენის" მშენებლებისგან ესტაფეტას მიიღებენ აღმოსავლეთ ციმბირის „ელექტროგადამცემის" ტრუსტის მუშები, რომლებიც ელექტროგადამცემ ხაზს გიაყვანენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ტრასას. გაყოლებით ბაიკალისაკენ ნელენ ანგარსკამდე, სამუშაოები აქ უკვე მიმდინარეობს.

(საკდესის კორ.).

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში

1976 წლის 29 ივლისს მოწვეული იქნება საქართველოს პროფსაბჭოს XVII პლენუმი, რომლის დღის წესრიგშია საკითხი:

„რესპუბლიკის პროფკავშირთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" — შესასრულებლად".

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი პროფკავშირთა წევრებს, რესპუბლიკის ყველა შრომელს მიმართავს თხოვნით გამოგზავნონ თავიანთი შენიშვნები და სურვილები, თუ როგორ გაუმჯობესონ პროფკავშირული ორგანოების საქმიანობა საწარმოო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში შრომელთა უფარო ფართოდ ჩაბმის მიზნით, როგორ განამტკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების შესაბამისად.

წინადადებები შესწავლილი და გათვალისწინებული იქნება პროფკავშირთა საბჭოსა და კომიტეტების მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შემუშავების დროს.

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა, 19, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილება.

18-19 ივლისი

„პრავდის" ფურცლებზე

18 ივლისს ნომრის მოწვნავეში („ყოველდღიურ საქმეთა რომანტიკა") აღნიშნულია, რომ საბჭოთა ადამიანი თავისი არსებით შემოქმედია, რომანტიკოსი. იგი ახალი საზოგადოების მშენებლობის დიადი ისტორიული მისიისათვის იშვა, პარტიამ პატრიოტად და ინტერნაციონალისტად აღზარდა, რომელიც ყველაზე მაღლა სოციალისტური სამშობლოს ინტერესებს, კომუნიზმის საქმეებს აყენებს. ჩვენი სახელმწიფოს მატერიალ-ტექნიკური ბაზა, მარქსისტულ-ლენინური იდეების გამარჯვებისათვის შთამაგონებელი ბრძოლის, შრომისა და გმირობის რომანტიკით. პირველი „წითელი შაბათობებით", სასიმღერო მაგნიტკით და ლეგენდარული დნეპრჰესით დაწყებული ჩვენს დღეებამდე გაჭიმულა შემოქმედებითი შრომის ჰეროიკის ეს სახელოვანი ესტაფეტა.

ჩვენი ქვეყნის ყოველი სამუშაო დღე მდიდარია საგმირო საქმეებით. ვარსკვლავიან ცაში ვახტაზე დგას საბჭოთა კოსმოსური ეკიპაჟი. გეგმის გადამეტებით მილიონნახევარი ტონა ნავთობი ამოიღეს ნახევარი წლის მანძილზე ტიუმენელმა მრეწველებმა, ისხმება ლითონი, მოდის ახალი მოსავლის პური, გემმარხეხებიდან ჩამოდის ხომალდები... და იცვლება თავად ყოველდღიურობის ცნება. მას დღეს უკვე ვეღარ გაიგივებ რაღაც ჩვეულებრივთან, ერთფეროვანთან, „ზარიდან ზარამდე" მუშაობასთან. თანამედროვე ტექნიკით, შრომის დიდმწარმოებლური საშუალებებით შეიარაღებული შეჯიბრების მონაწილეთა თვითეულ შრომითს დღეს თავიანთი ცხოვრების ბრწყინვალე ვახტად აქცევენ.

გუშინდელი ნომრის მეთაური („საქონელი ხეზონისათვის") საზოგადოებრივ ეკურობის საკითხებს ეხება.

ხეზონური ვაჭრობის სრულყოფა, — ნათქვამია მოწინავეში — **პარტიული კომიტეტების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ღრმად ვაანალიზებთ რა მეხ მდგომარეობას, კოლექტივების რეზერვებსა და შესაძლებლობებს, უნდა ავამაღლოთ სავაჭრო საწარმოების პარტორგანიზაციათა როლი, გავაუმჯობესოთ მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, აღვზარდოთ კადრები მშრომელთა სანმუშო მომსახურებისათვის დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.**

„ადვილია თუ არა ავტომობილით გაიარო დედამიწიდან მთვარემდე მანძილის ტოლი გზა? თანაც ისე, რომ მან ეს გზა გაიაროს, როგორც ამბობენ, სრულიად შეუფერხებლივ, დაუბარკოვნელივ, არ დასჭირდეს კაპიტალური რემონტი?" ამ სიტყვებით იწყებოდა 1973 წლის 24 თებერვლის „პრავდაში" გამოქვეყნებული კორესპონდენცია ასეთი სათაურით — „სამასათასიანელები". კორესპონდენციაში ლაპარაკი იყო მთავარმოსკოვავტოტრანსის, ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნისა და საავტომობილო და ავტომოტორის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივების ვალდებულებებსა და მიცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაზე. და აი ბეშინდელ ნომერში პირველ გვერდზე გაზეთი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს რუბრიკით — „უბრუნდებით ვალდებულებებს".

„პრავდის" კორესპონდენტის გ. ლებანიძის წერილში — „მწვანე ფარი" (პრესის მიმოხილვა), რომელიც 19 ივლისის ნომერშია გამოქვეყნებული, დღეს „კომუნისტის" ფურცლებზე წაიკითხავთ.

ПРАВДА

ახალი ბროშურა

ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა „ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის შედეგები.

ბერლინი, 1976 წლის 29-30 ივნისი".

ბროშურაში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა, საბოლოო დოკუმენტი, რომელიც კონფერენციამ ერთსულოვნად მიიღო: „ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის", დოკუმენტი: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში", „ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციის შედეგების შესახებ". (საკდესი).

ალოობაა შირაქსა და ალაზნის ველზე

კომბაინები მუშაობენ დღისით და ღამით



ალოობის ცხარე დღეებია ალაზნის ველზე და შირაქში. თვალუწვდენელ ოქროსფერ ყანებში დღედაღამ გუგუნებენ კომბაინები. ხორბლით დატვირთული ავტომანქანების ნაკადი არ წყდება.

45 წელია კომბაინერად ვარ, და ასეთი უხვი მოსავალი დიდი ხანია არ მინახავს, — ამბობს წითელწყაროს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორი ივანე ჭუაძე. მახთან მესაჭევრედ მუშაობს მისი ვაჟიშვილი ალექსანდრე — მე-9 კლასის მოსწავლე. მათი აგრეგატი დღედაღამ მუშაობს და ყოველდღიურად 40 ტონა მარცვალს ლეწავს. (სურათზე — ზემოთ მარცხნივ).

ეს მბიარული ბიჭუნა კი ტიბაანელი ალიკო ლათიბაშვილია. იგი მე-6 კლასის მოსწავლეა, მუშაობს მესაჭევრედ და უნდა კომბაინერი გახდეს. ხიღნალის რაიონის ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში 17 კომბაინი მუშაობს. კოლმეურნეობამ ნაკისრი ვალდებულება შეახრულა — სახელმწიფოს 6.070 ტონა ხორბალი მიჰყიდა.

მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ ამ კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორებს ვ. პუტრიაშვილს და შ. მოსულიშვილს;

მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია! — ასეთი ლოზუნგით შრომობენ წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეები, თითქმის ყოველ 5 წუთში აქ კალოს სასწორიდან ჩამოდის ხორბლით დატვირთული ავტომანქანა. (ქვემოთ, შუაში);

ეს მოხუცები კი — ზემომაჩხანელები გ. გოგილაშვილი, ი. ნასრაშვილი და ა. სამადაშვილი კალოზე მუშაობენ, ტვირთავენ და დღეში 200 ტონა ხორბალს ასუფთავებენ. (სურათზე — ქვემოთ მარცხნივ).

ხ. ჭილაძის ფოტორეპორტაჟი.

პარტიული ცხოვრება

მუშური სინდისი გვაკავშირებს

საქკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებას რომ კითხულობ

ჩემი ასაკი ალბათ ბევრს ვერაფერს მეტყველებს, მაგრამ პარტიის ისტორია გვასწავლის და ძველი გვარდიის ბოლშევიკები, დროული ადამიანები გვიამბობენ, რომ მათ არ ახსოვთ საქართველოს ტრანსპორტი ორგანიზაციის მუშაობის, მშრომელთა საქმიანობის ისეთი მაღალი შეფასება, როგორიც საკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებაშია მოცემული.

ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ ისტორიულმა პარტიულმა დოკუმენტმა, რომელიც საქართველოს მშრომელებისათვის ზრუნვით, მის პერსპექტივებსა და ნათელ მომავალზე ფიქრით არის გაჟღენთილი, ყოველი პატიოსანი მშრომელის მადლიერება და კმაყოფილება გამოიწვია.

ბრმა და ყრუ უნდა იყოს ადამიანი, ვერ ხედავდეს იმ დიდ პოზიტიურ ძვრებს, რომლებიც თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს მოჰყვა.

ბუნებრივია, ჩვენ, რიგითი ადამიანები, მომსწრე და მონაწილე ამ დიდი ძვრებისა, ვხედავთ და ვაკვირდებით, ვამჩნევთ და ვაანალიზებთ კარგსაც და ცუდსაც ამ მეცადინეობის დადებითი შედეგები ყველასათვის თვალსაჩინოა. პირველი და მთავარი, ჩემი აზრით, ის არის, რომ **აღდგა რწმენა — ადამიანი წარმოჩნდა თავისი უფლებებით, ამაღლდა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. პასუხისმგებლობითა და რწმენით კი მთებსაც შეძრავ!**

შევიცდები შეძლებისდაგვარად გიჩვენოთ იგი ჩვენი საწარმოს — სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის მაგალითზე. იგი ამზადებს საჭრისებს, საღარავებს, ხრახნსაჭრელებს და სხვ., რომლებიც ჩვენი ქვეყნის გარდა უცხოეთის ოცდაათამდე სახელმწიფოში იგზავნება. ახლა ჩვენი შვიდასკაციანი კოლექტივი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით, მონდომებით ღღვწის ქარხნის მარკის ღირსებისათვის, მაღალი საწარმოო კულტურისა და სანიმუშო წესრიგის დაჟყარებისათვის. შედეგი? უკანასკნელ ოთხ წელიწადში არ გვქონია გეგმების შეუსრულებლობის არცერთი ფაქტი, არ მიგვიღია არცერთი რეკლამაცია, დიდ შრომის ალმაცლობაში ვცდილობ ინიციატივა — მათ შორის „ჩემი პირადი ხუთწლედი", რომელიც თვალსაწინოებს კონკრეტულ პირად წვლილს XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მეათე ხუთწლედის შესრულებაში.

ამა მობრძანდით და ნახეთ, რა გაკეთდა ამ ოთხ წელიწადში ჩვენს ქარხანაში! მოგეწონებათ ეზოსკვერები, ყვავილნარები, აკვარიუმი, სპორტული კომპლექსები, კვეხნაში ნუ ჩამოგვართმევთ და ჩვენი საცურაო აუზი დიდ სპორტულ ორგანიზაციასაც-კი შეშურდება. შეკეთდა ქლუბი, გაფართოვდა და გამდიდრდა ბიბლიოთეკა. სუფთა, ნათელ საამქროებში კეკლუცად გაშოიუურებიან საგანგებოდ შერჩეული ლამაზი ფერებით შეღებილი დაზგა-დანადგარები. ისინი ესთეტიკის ინსტიტუტისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რეკომენდაციებით არის განლაგებული. მოეწყო წითელი კუთხეები...

დიახ. ჩვენ, მუშები ვგრძნობთ იმ გარდატეხასაც, რომელიც „ზევიდან" ჩვენთან დამოკიდებულებაში მოხდა. ნსლა უფრო ყურადღებით უსმენენ ჩვენს შენიშვნებს. მოთხოვნებს, უკეთ სრულდება მიღებული დადგენილებები.

ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ჩვენი მუშათა სასადილოს მაგალითი. იგი მინამალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნას. შესვენებისას რიგებში ძვირფასი დრო იკარგებოდა, კრა კერძების ხარისხი იყო მოსაწონი. არ თავდებოდა ამაზე ლაპარაკი და რა თქმა უნდა, საქმესაც არაფერი შველოდა. მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელობამ ყურად იღო მუშათა მოთხოვნები და ახლა ჩვენი „№ 1 საამქროკეთილმოწყობით, კერძების ხარისხით კარგ რესტორანსაც არ უდგებს ტოლს, ქალაქის მუშათა სასადილოებს დათვალიერება-კონკურსში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

ჩვენთვის ნათელია, რაოდენ დიდი ყურადღება მიაქციეს საკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას. ამ დღეებში გულდასმით გავეცანით რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრების მასალებს ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ჩვენთანაც, კომპლექსური ღონისძიებების შედეგად ამაღლდა შრომის დისციპლინისა და კონტროლის დონე. ახლა უხარისხოდ შეკეთებული დაზგა, ან საერთოდ შეუკეთებლობა, ტექნიკის პროფილაქტიკის შეუფასებლობა აღირცხება ხოლმე და ყოველი ასეთი შემთხვევა მსჯელობის საგანი ხდება. ამას მოცდენების შემცირება, წარმოების რიტმული მუშაობა მოჰყვა. ადმინისტრაციამ, პარტბიურომ, საქარხნო კომიტეტმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ბახუსის მოყვარულთ. ამ ცუდ ჩვეულებაში შენიშნულებს პერსონალურად ამოწმებდნენ. ბევრმა მათგანმა იმკურნალა და სულ ახლახან კვლავ დაუბრუნდნენ კოლეტივს.

ჩვენ გამაყოფთ ისეთი გაჯოგდილი თანამოსაძმეებით. რომლებიც დამრიგებლობას ეწევიან და უყვართ ეს საქმე. კარგი დამრიგებელი და ახალგაზრდობის გულითადი მეგობარია კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მღარავი მ. კალანდაძე. მან თავისი მდიდარი გამოცდილება გაუზიარა დს პროფესია შეაყვარა მრავალ ახალგაზრდას. მისი აღზრდილები ი. ბადრიძე, ს. ლეშჩენკო, ნ. ბერელაშვილი და სხვები საუკეთესო სპეციალისტები დადგნენ და საყვარელ მასწავლებელსაც კი უწევენ მეტოქეობას. ასევე მოწონაგე დამრიგებლად ითვლება მემრუდთარგე, კომუნისტური შრომის დამკვრელი გ. მინაშვილი. იგი ახლა თაცს საცალობას ასწავლის ნახალგაზრდებს, რომლებსაც შრომითი ესტაფეტა უნდა გადასცეს.

მთელ კოლეტკივს, განსაკუთრებით უფროს ოსტატ ნ. ძალინინს, უნდა უმადლოდეს თავის დღევანდელ მდგომარეობას თ. მჭედლიძე. წინათ იგი გულს ვერ უდებდა საქმეს. და აი კოლექტივი დაინტერესდა ამ ახალგაზრდის ბედით. ყურადღებას და ზრუნვას ქმაოდ არ ნაუღლია, იგი თანდათან სასიკეთო გზას დაადგა, შემდეგ ჩინებულად მოიხადა მხედრული ვალი, შშობლიურ საწარმოს დაუბრუნდა და ახლა საუკეთესო მუშად ითვლება. მრავალი ასეთი ფაქტის ჩამოთვლა შეგვიძლია.

მაგრამ ისე ნურვინ გაგვიგებს, თითქოს ჩვენთან ყველაფერი რიგზე იყოს. შრომითი გზა ფიანდაზით მოფენილი გვქონდეს, უხარვეზოდ ვმუშაობდეთ. არა! ჯერ კიდევ გვაქვს გადაუჭრელი პრობლემები და საკითხები, გვყავს ერთი დიდი მტერი — **ინერტულობა.** რომელიც ბევრ საქმეს უკან ეწევა. ბევრი მათგანის მოგვარება ყოველთვის ჩვენზე როდია დამოკიდებული, ამიტომ ზოგიერთზე მოგახსენებთ.

ახალი აღმოჩენა როდია, რომ საწარმოს გამართული მუშაობა დიდად არის დამოკიდებული ნედლეულზე — კონსტრუქციულ და სტრატეგიულ ფოლადებზე, სალი შენადნობების ფირფიტებზე, რომლებსაც უმთავრესად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, კერძოდ ვოტკინსკის მანქანათმშენებელი, დონეცკის მეტალურგიული ქარხნებიდან, ჩირჩიკიდან და სხვა ქალაქებიდან ვიღებთ. ამ ფონდირებულ მასალებს არათანაბარზომიერად და ძალზე დაგვიანებით, უმეტესად კვარტალის ბოლოს გვიგზავნიან ეს დიდ ფასიანი მასალა. ეს ფაქტი ჩვენ ქვეყნის ეკონომიკურ ყოფას ეწინააღმდეგება. ეს ფაქტი ეკონომიკურ ეფექტიანობ

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკლესიო და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

მსოფლიოს ამბები

დროის მოთხოვნა

ბონი, (საკლესია). ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დამთავრების მოახლოებული პირველი წლისთავის წინ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის სხვადასხვა წრის წარმომადგენლები კვლავ დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ საჭიროა ამ თათბირის ხაზოლო აქტის დებულებათა თანამიმდევრული განხორციელება, აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციის ეფექტიან პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებას.

როგორც საკლესიო კორესპონდენტს გაუგიგია დასავლეთ გერმანიის თვალსაზრისო საზოგადო მოღვაწემ ლ. კნორმა, ჰელსინკის

დასავლეთ გერმანიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის ლ. კნორის განცხადება

□

თათბირზე თვისებრივად ახალი ნაბიჯი გადაიდგა ევროპის კონტინენტზე უშიშროების უზრუნველყოფისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით გამსჭვალული ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის განვითარების გზაზე.

ევროპაში განვითარების შედეგები თათბირის მუშაობის დამთავრების შემდეგ უკანასკნელი წლის მანძილზე, აღნიშნა ლ. კნორმა, უთუოდ დადებითი ხასიათისაა. ეს სავსებით შეეხება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივ ურთიერთობასაც.

ლ. კნორი მიესალმა საბჭოთა მთავრობის განცხადებას საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის გამო, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ეს განცხადება გზას უკაფავს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, აგრეთვე განიარაღების დარგში ახალ პროგრესს, რაც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სულისკვეთებას შეესაბამება.

ლიბანი

ბრძოლა ძლიერდება

ბეირუთი, (საკლესია). ლიბანში ძლიერდება საომარი მოქმედება, კრიზისის პოლიტიკურ მოწესრიგებას კი პირი არ უჩანს.

პალესტინელ ლტოლვილთა ტელ-ზაათარის ბანაკის დამცველებმა ბეირუთში, გუშინ მოიგერიეს მემარჯვენე ქრისტიანული ძალების მესამოცე შეტევა. ეს ძალები უკვე 26 დღეა ცდილობენ ხელთ იგდონ დს მოსპონ ბანაკი. მემარჯვენეებმა მორიგი შეტევა წამოიწყეს მის შემდეგ, რაც ტელ-ზაათარს არტილერია-ნაღმსატყორცნებისა და რაკეტების ბარბაროსული ცეცხლი დაუშინეს.

გაიფორებული ბრძოლები გრძელდებოდა აგრეთვე ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ტრიპოლეს რაიონში. მემარჯვენე ქრისტიანულმა რაზმებმა რამდენადმე წაიწიეს სამხრეთიდან ქალაქისაკენ, რომელსაც ეროვნულ-პატრიოტული ძალები უწევენ კონტროლს. როგორც ბეირუთის გაზეთები იუწყებიან, ლიბანში მყოფ სირიის ჯარებს კვლავ ალყაში ჰყავთ მოქცეული პალესტინის ნაჭრ ალ-ბარიდის ბანაკი ტრიპოლის ჩრდილოეთით და არტილერიის ცეცხლს უშენენ ქალაქს. „ორიან-ჟურნა“ წერს, რომ სირიის ჯარები ამაგრებენ თავიანთ პოზიციებს ქალაქ სოფრის რაიონში.

ამასთან პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ფ. აღ-კადუმამ განაცხადა, რომ სირიის ჯარების მთლიანად გაყვანა საიდიდან და სოფარიდან პალესტინა-სირიის ყოველგვარი დიალოგის დაწყების უთუო პირობაა. მან აღნიშნა, რომ ახლანდელ პირობებში ნაადრევი იქნებოდა ლაპარაკი დამასკოში პალესტინის დელეგაციის ვიზიტის შესახებ სირიის ხელმძღვანელებთან შესახვედრად.

ავღ

მოლაპარაკება დამთავრდა

ვაშინგტონი, (საკლესია). დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის მოლაპარაკება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერთან ჰ. შმიდტთან, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტით იმყოფება.

მოლაპარაკების დროს დიდი ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის პრობლემას. როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, მხარეებმა განიხილეს, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და მოლაპარაკება ცეტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთ შემცირების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებთან. როგორც აღინიშნა, ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თათბირის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ჰ. შმიდტმა, რომელიც მოლაპარაკებს დამთავრების შემდეგ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას აქვს განაგრძოს ეს ურთიერთობანი. ბონი

„კომუნისტის“ ინტერვიუ

გეოგრაფთა დიდი ფორუმი

XXIII IGC MFK CIG MOSKBA 1976

განიხილავენ თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს

□ გეოგრაფთა XXIII საერთაშორისო კონგრესის წინ □ საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისა და გეოგრაფიული განლაგების პროგლემები □ დღის წესრიგშია ბუნებრივი რესურსების რაციონალურად ვამოყენება, გარემოს დაცვა.

დღეს, 20 ივლისს თბილისში მუშაობას შეუდგება გეოგრაფთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც განიხილავს გამოყენებითი გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებს. მის მუშაობაში საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი სპეციალისტები.

სიმპოზიუმი წინ უძღვის გეოგრაფთა XXIII საერთაშორისო კონგრესს. იგი თავის მუშაობას 28 ივლისს შეუდგება მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახსნელში.

სიმპოზიუმისა და კონგრესის გამართვის გამო ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ხუბულური ესაუბრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტს თეიმურაზ დავითაიას და მისგან მას რამდენიმე კითხვით.

— უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ გვესაუბროთ კონგრესზე, გაგვაცნოთ, რა ძირითად საკითხებს განიხილავენ მასზე და როგორ წარიმართება გეოგრაფთა ამ დიდი ფორუმის მუშაობა.

— გეოგრაფთა საერთაშორისო კონგრესების გამართვას დიდი ტრადიცია აქვს. ეს კონგრესები 1871 წლიდან ეწყობოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანაში იგი პირველად იმართება. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი პლანეტის 80 ქვეყნის მეცნიერები, მოელიან 3.000 უცხოელ სტუმარს, რომელთაც 2000 საბჭოთა გეოგრაფი გაუწევს მასპინძლობას.

კონგრესი განიხილავს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს. კერძოდ, საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისა და გეოგრაფიული განლაგების პრობლემებს, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, ბუნების დაცვის, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში გეოგრაფიული მეცნიერების სწავლების გაუმჯობესების, ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებისა და სხვა საკითხებს.

პროგრამის თანახმად, 12-დან 27 ივლისამდე საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებში ტარდება 30 წინასაკონგრესო სამეცნიერო სიმპოზიუმი. საქართველოში ორი სამეცნიერო სიმპოზიუმი იმართება. ერთი ზღვის ნაპირების დინამიკის პრობლემებს ეძღვნება, ხოლო მეორე — ვამოყენებითი გეოგრაფიის საკითხებს. ამ სიმპოზიუმების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მრავალი ქვეყნის მეცნიერები.

ზღვის ნაპირების დინამიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი გუშინ, 19 ივლისს სოჭში შეუდგა მუშაობას, შემდეგ იგი გაგრძელდება სოხუმში და მუშაობას თბილისში დაამთავრებს.

გამოყენებითი გეოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი კი დღეს იხსნება თბილისში. ორივე სიმპოზიუმი 25 ივლისს დაიხურება და მისი მონაწილეები მოსკოვს გაემგზავრებიან.

სიმპოზიუმებზე მოხსენებების ერთ მესამედს საბჭოთა მეცნიერები წაიკითხავენ. მათ შორის აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მეცნიერები.

ზღვის ნაპირების დინამიკისა და ვამოყენებითი გეოგრაფიის პრობლემებზე სიმპოზიუმების თბილისში მოწვევა შემთხვევითი არ არის. საქართველოში ამ საკითხებზე მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს და ქართველ მეცნიერებს საინტერესო შედეგებიც აქვთ მიღებული.

ქართველი მეცნიერების მოხსენებები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიც არის შავი ზღვის ნაპირების დაცვისა და გამაგრების მეცნიერული საფუძვლები, კოლხეთის დაბლობის დაჭაობების მიზეზები და მათი დაშრობის ღონისძიებანი, წყლის რესურსების შესწავლისა და მათი გამოყენების მეცნიერული საფუძვლები, რაიონული დაგეგმარება, მრეწველობის განლაგების კანონზომიერებანი, ტრანსკავკასიის რკინიგზის დაპროექტების გეოგრაფიული ასპექტები და მრავალი სხვა.

— რას გვეტყვით კონგრესის პროგრამის შესახებ, როგორ მოეწყობა მისი მუშაობა?

— კონგრესზე იმუშავებს 10 სექცია. ვაიმართება ხუთი მეთოდური სიმპოზიუმი და სამი მეთოდური სემინარი. მოეწყობა ექსკურსიები, რომელზეც ეგზამინირებული იქნება გეოგრაფიული რუკები, ატლასები, სამეცნიერო ლიტერატურა.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო-საწარმოო პალატა საზღვარგარეთის ფირმებთან ერთად აწყობს ხელსაწყოებს, დანადგარებს, ინსტრუმენტული მასალების კონცერციულ გამოფენას.

ქართველი მეცნიერები კონკრესზე საინტერესო მოხსენებებით წარდგებიან და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სექციების მუშაობაში.

კონგრესი 3 აგვისტოს დაამთავრებს მუშაობას და იმავე დღეს გაიხსნება VIII საერთაშორისო კარტოგრაფიული კონფერენცია. 4 აგვისტოდან კი გეოგრაფიული კონგრესისა და კარტოგრაფიული ასოციაციის მონაწილეთათვის მოეწყობა ექსკურსიები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 15 მიმართულებით.

ჩვენი სტუმრები ეწვევიან ქვეყნის სხვადასხვა რაიონებს დასავლეთის საზღვრებიდან აღმოსავლეთ ციმბირამდე და იაკუტიამდე, ამაერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებს.

საქართველოში ვვიწვევთ ოთხი ექსკურსია. მარშრუტებია — ორჯონიკიძე-თბილისი-ქუთაისი-ბათუმი-სოხუმი; მოსკოვი-ბაქო-ერევანი-თბილისი-მოსკოვი. სტუმრების ერთი ნაწილი გაემგზავრება კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის მუშაობის გასაცნობად.

იმედს გამოვთქვამთ, რომ გეოგრაფთა XXIII საერთაშორისო კონგრესი ხელს შეუწყობს ახალი სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას და ძველის განმტკიცებას, თანამშრომლობის ატმოსფეროს კიდევ უფრო გაჯანსაღებას, თავის წვლილს შეიტანს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მეგობრობის საქმეში.





ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘᲡ XXI ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲖᲔ

სურათებზე: ოლიმპიური მონრეალი. ასპარეზობის საზეიმო გახსნა. მოდის საბჭოთა კავშირის დელეგაცია (მარცხნივ); სტადიონზე აღმართულ ჯამში ოლიმპიურ ცეცხლს ანთებენ ტორონტელი ქალიშვილი ს. კენდერსონი და მონრეალელი ჭაბუკი ს. პრეფონტენი.

საკადრო-საქინფორმის ტელეფოტო.

mantréal76

პირველი სიხარული

საბჭოთა სპორტსმენთა ორი ოქროს მედალი

კარგად დაიწყო 21-ე ოლიმპიადა საბჭოთა სპორტისათვის. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა ასპარეზობის პირველ დღესვე ორი ოქროს მედალი მოიპოვეს, ამასთან მსოფლიოს ახალი რეკორდიც დაამყარეს.

ვინ გახდებოდა ოლიმპიადის პირველი ჩემპიონი, ვინ მოიპოვებდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოებს — საგზატეცილო ველორბოლის ოსტატები თუ ტყვიის მსროლელები, რომლებიც თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ სტარტზე?

ოლიმპიადის პირველი ჩემპიონები „დაიბადნენ“ მონრეალის „ტრანს-კანადის“ ტრასაზე, სადაც გაიმართა გუნდური ველორბოლა 100 კილომეტრზე. ამ ტრასას (იგი 25 კილომეტრს უდრიდა, რომელიც ველოსიპედისტებს ოთხჯერ უნდა გაევლოთ) კარგად იცნობდნენ საბჭოთა სპორტსმენები. აქ შარშანწინ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი კვარტეტი მეორე იყო (წაიგო შვეიცარის ნაკრებთან სულ ორი წამი (იმ შემადგენლობიდან საბჭოთა გუნდში ახლა ორნი გამოდიოდნენ — ჩიპლიგინი და კამინსკი).

საბჭოთა ნაკრები (მწვრთნელი — რომის ოლიმპიადის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ კაპიტონოვი) სტარტზე თავის მთავარ მეტოქეზე— (მსოფლიოს ჩემპიონ პოლონეთის გუნდზე ადრე გამოვდა. სულ ასპარეზობაში მონაწილეობდა 29 გუნდი. ჩვენი ველოსიპედისტები, რომლებიც ტრადიციულ წითელ მაისურებში გამოდიოდნენ, პირველნი იყვნენ 25 კილომეტრის შემდეგ (33 წუთი და 2 წამი). 45 წამს აგებდა მათთან გდრ-ის ნაკრები, ხოლო პოლონეთის გუნდი, რომელშიც არიან ცნობილი ველოსიპედისტები რომარდ შურკოსკი და სტანისლავ შოზდა, ლიდერს 50 წამით ჩამორჩებოდა.

მეორე წრის შემდეგ პოლონელები უკვე მეორე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ საბჭოთა ოთხეულს ახლა 1 წუთითა და 9 წამით ჩამორჩებოდნენ. **ჩვენმა გუნდმა** ბოლომდე კარგად ასპარეზობა და პირველად სპორტის ისტორიაში **მოიპოვა გუნდური გამარჯვება საგზატეცილო რბოლაში — 2 საათი, 8 წუთი და 53 წამი.** მეორე ადგილზე პოლონეთის — 2:09, 13,0; მესამეზე — დანიის ნაკრები 2:12, 20,0.

ფინიშის შემდეგ პოლონელთა მწვრთნელმა კაროლ მადოიმ საბჭოთა ოთხეულს შესანიშნავი უწოდა, ხოლო მის მწვრთნელს ვიქტორ კაპიტონოვს — ბრა მარტო შესანიშნავი სპორტსმენი წარსულში, არამედ ბრწყინვალე მწვრთნელიც.

ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული ჩემპიონები — **ვალერი ჩაპლიგინი, ალო პაკუუსი, ანატოლი ჩუკანოვი და ვლადიმერ კამინსკი** ჟურნალისტებისა და ფოტოკორესპონდენტების მეჯიროო წრეში მოექცნენ — ყველას უნდოდა ინტერვიუ ჩამოერთვა თუ სურათი გადაეღო მონრეალის ოლიმპიადის პირველი ჩემპიონებისათვის.

„სენ-მიშელის“ სარბიელზე აღმართულ გამარჯვებულთა სპანტიო კვარცხლბეკზე იდგა საბჭოთა შტანგისტი ალექსანდრე ვორონინი.

— ჩემპიონობას არ ველოდი, მაგრამ მინდოდა ოლიმპიურ სარბიელზე გამომეელინებინა ყველაფერი, რაც კი შემეძლო — თქვა მან.

ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ძალოსანთა ტურნირის პირველ წონაში — უმჩატეს კატეგორიაში (52 კილოგრამამდე). ალექსანდრე ვორონინის გარდა აქ გამოდიოდნენ მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი ზიგმუნტ სმალცეკი (პოლონეთი), **მეხიკოს** ოლიმპიადის ჩემპიონი მოჰამედ ნასირი (ირანი), უძლიერესი შტანგისტები ლაიოშ სიუჩი (უნგრეთი), ტაკესი ხორიკოსი (იაპონია) და სხვა. **საბჭოთა სპორტსმენმა ალექსანდრე ვორონინმა** გაიმეორა თავისივე მსოფლიო მიღწევა ორეულში — 242,5 კგ. (105+137,5) და **ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა.** მანვე დამატებით ცდაში აკვრაში 141 კილოგრამი დაძლია, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია.

მეორე ადგილზე გამოვიდა უნგრელი დიერე კესეგი (237,5 კგ), ხოლო მესამეზე — მ. ნასირი (235 კგ).

გუშინ გაიმართა მჩატე წონის შტანგისტთა ტურნირი. საბჭოთა გუნდს ამ კატეგორიაში ათლეტი არ გამოუყვანია.

პირველი ქართველი სპორტსმენი — საერთაშორისო კლასის ოსტატი, სოხუმელი ექიმი მარლენ პაპავა („დინამო“) ჩაება მონრეალის ასპარეზობაში. საბჭოთა კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა, რომელმაც წელს ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი, ამჯერად წარუმატებლად იასპარეზა. მან 546 ქულა მოაგროვა (მცირეკალიბრიანი ნებისმიერი პისტოლეტით 50 მეტრზე— 60 გასროლა) და მხოლოდ 26-ე ადგილზე გამოვიდა.

სუსტად იასპარეზა ამ ქარიან დღეს აგრეთვე მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა გრიგოლ კოსიხმაც. იგი 559 ქულით მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა (ერთი ადგილი „დაკლდა“ ექვსეულში მოხვედრისთვის, რაც საბჭოთა გუნდს ჩასათვლელ ქულებს მოუტანდა).

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ აკადიის (იგი მონრეალიდან 40 კილომეტრით არის დაშორებული) სასროლეთზე გდრ-ის სპორტსმენები. ჩემპიონობა მოიპოვა 21 წლის ირმიელმა უვე პოტეგმა — 573 ქულა, რაც ახალი ოლიმპიური და მსოფლიოს რეკორდია. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი, 29 წლის ვეტერანი პაოლო ფოლმანი — 567 ქულა, მესამე იყო ავსტრიელი რუდოლფ დოლინგერი — 562 ქულა.

ოლიმპიადაზე პირველი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კალათბურთელმა ვაჟებმა, რომლებმაც დიდი ანგარიშით 120:77 (61:40) მოუგეს მექსიკის გუნდს. საბჭოთა ნაკრებში ამ დღეს კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ა. ბელოვი, მ. ქორქია, ვ. ტკაჩენკო, ხოლო ს. ბელოვი და ვ. არზამასკოვი — განსაკუთრებული ზუსტი ტყორცნებით.

ასევე დამაჯერებლად სძლიეს იაპონელებს ოლიმპიადის მასპინძლებსაც— 104:76 კანადელთა სასარგებლოდ. კუბელებმა მოუგეს ავსტრალიელებს — 111:89, იუგოსლავიელებმა — პუერტორიკოელებს (84:63), ამერიკელებმა — იტალიელებს (106:86).

ᲞᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ პარკის საცურავ აუზში ასპარეზობაში ჩაებნენ წყალბურთელები. პირველ მატჩში საბჭოთა ნაკრები შეხვდა რუმინეთის გუნდს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 5:5 (1:1, 2:2, 2:2, 0:0).

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ხელბურთელთა ტურნირი ვაჟთა შორის. საბჭოთა სპორტსმენებმა დამარცხეს იაპონიის ნაკრები — 26:16 (11:5), მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა რუმინეთის გუნდმა ანგარიშით 23:18 მოუგო უნგრეთის ნაკრებს, იუგოსლავიამ — კანადას (22:18), გფრ-მა — დანიას (18:14).

ᲪᲔᲜᲢᲠ „პოლ სოვეშო“ მმდინარეობს ვაჟთა გუნდების წინასწარი შეჯიბრება ქვეჯგუფებში. პირველ მატჩში საბჭოთა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:0 (15:6, 15:3, 15:6) მოუგეს იტალიის გუნდს.

„ᲛᲝᲠᲘᲡ რიშარის“ ოლიმპიურ რინგზე ორმა საბჭოთა მოკრივემ ვადაძე გაიმარჯვა პირველი დღის ასპარეზობაში. ევროპის ჩემპიონმა უფლმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვალერი ლიმასოვმა (პირველი ქვესაშუალო წონა) სამჯერ გაგზავნა ნოკდაუნში ახალზელანდიელი რ. კოლი. მესამე რაუნდში მსჯამ შეაჩერა ბრძოლა და გამარჯვება ვ. ლიმასოვს მიაკუთვნა. ასევე დიდი უპირატესობით დაამარცხა ვალერი რაჩკოვმა (მეორე ქვესაშუალო წონა) ფინელი კ. მარიიამაა.

ᲓᲐᲒᲠ-ᲘᲡᲐ და აშშ-ის გუნდები მოკიჭრავთა ასპარეზობის თავადი ფავორიტები არიან. კომბინირებულ ამბათაცურვაში 4×100 მეტრზე ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა გდრ-ის გუნდმა, რომელმაც მსოფლიოს რეკორდიც გაუუმჯობესა — 4 წუთი და 07,95 წამი. მეორე ადგილზეა აშშ-ის (4. 14,55), მესამე — კანადის (4. 15,22) გუნდი. საბჭოთა ნაკრებმა (ნადეჟდა სტავკო, მარინა იურჩენია, თამარ შელოფასტოვა, ლარისა ცარიოვა) მეოთხე შედეგი აჩვენა — 4. 16,05. მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარეს ამერიკელმა ვოტკოვამ — 200 მეტრზე ბატერფლაით მაიკ ბრუნერმა 1. 59,23) და 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჯონ ნაბერმა — 56,19 წამი.

ᲮᲣᲗᲯᲘᲓᲔᲚᲔᲑᲘᲐ პირველ სახეობაში — ცხენოსნობაში ძალზე მჭიდრო შედეგები აჩვენეს. საკმარისია ითქვას, რომ პირველ და მეათე შედეგს შორის ქულათა სხვაობა სულ 356 უდრის. საბჭოთა ნაკრებმა (პავლე ლუდნოვი, ბორის ონიშჩენკო და ბორის მოსოლოვი) პირველი დღის შემდეგ 3. 136 ქულა მოაგროვა. რომდენადმე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ შვეიცის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის გუნდებს.

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘᲡ უდიდეს სპორტულ დარბაზს „ფორუმში“ მიმდინარეობს ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა. ძირითადი ბრძოლა ქალებში სსრ კავშირის, რუმინეთის, გდრ-ისა და უნგრეთის გუნდებს შორის გაიმართა. სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები 1,5 ქულას უგებენ რუმინელებს. სამაგიეროდ 14 წლის რუმინელი, ევროპის 1975 წლის ჩემპიონი ნადია კომანეჩი ლიდერობს პირად ჩათვლაში. მეორე-მესამე ადგილებზე არიან ლიუდმილა ტურიშჩევა და ტეოდორა უნგურიანუ (რუმინეთი), შემდეგ მოდიან ოლგა კორბუტი, სვეტლანა გრონდოვა და ნელი კიმი. დაწინაურდნენ გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ვაჟებიც, რომლებიც ძირითად მეტოქეს იაპონიის გუნდს უგებენ 0,5 ქულას. განსაკუთრებით კარგად გამოდიან ლიდერები ნიკოლოზ ანდრიანოვი და ვლადიმერ მარკელოვი.

ᲪᲘᲠᲙᲘ აიღო ფეხბურთელთა ტურნირმაც. პირველმა მატჩმა პირველი ხენსაცია მოიტანა: მიუნხენის ოლიმპიურმა ჩემპიონმა პოლონეთის ნაკრებმა ფრედ — 0:0 დაამთავრა შეხვედრა კუბის გუნდთან. ასეთივე შედეგია ფიქსირებული ბრაზილიისა და გდრ-ის მატჩში.

სურათებზე: ოლიმპიური მონრეალი. ასპარეზობის პირველ ჩემპიონებს — საბჭოთა ველოსიპედისტებს ა. ჩუკანოვს (ვოროშილოვგრადი), ვ. ჩაპლიგინს (კურსკი), ვ. კამინსკის (მინსკი) და ა. პაკუუსს (ტარტუ) გამარჯვებას ულოცავენ ვერცხლის პრიზიორები — პოლონელები ტ. მიტნიკი, ხ. შოზდა, ნ. ნოვიცკი და რ. შურკოსკი (მარცხნივ); კვარცხლბეკზე შუაში დგას ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე ვორონინი (მარჯვნივ);

საკადრო-საქინფორმის ტელეფოტო.

დღეს მონრეალში...

მედლების კიდევ შვიდი კომპლექტი გათამაშდება დღეს ოლიმპიადაზე: ცურვაში (ვაჟები — 1500 მეტრი თავისუფალი სტილი—100 მეტრი ბრასით. ქალები—400 მეტრი თავისუფალი სტილით), წყალში ხტომაში (ქალები, ტრამპლინი), ტყვიისა და სასტენდო სროლაში, ძალოსნობაში (ქვემსუბუქი წონა).

ამ დღეს გაიმართება წინასწარი ასპარეზობანი კალათბურთში, კრიკეტში, ჭიდაობაში (კლასიკური სტილი), ველოსპორტში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, ჭადიმიურ ნიჩბოსნობაში, საიალქნო სპორტში, წყალბურთში, ხელბურთში, თანამედროვე ხუთჭიდში, ფარიკაობაში, ფეხბურთსა და ბალახის ჰოკეში.

გარიცხეს ფედერაციიდან

მონრეალი, 19 ივლისი. (საკადესის კორ.). აქ გამართულ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფეხბურთის ასოციაცია გარიცხონ ამ უდიდესი სპორტული ორგანიზაციიდან.

ამ გადაწყვეტილებისათვის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის — იმ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია, რომელშიც რასიზმია გამეფებული, არ იცავს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების მოთხოვნებს.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

XXIII IGC MFK CIG MOSKBA 1976

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ

□ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲗᲐ XXIII ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜ □ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ □ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲗᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ.

დღეს, 20 ივლისს თბილისში მუშაობას შეუდგება გეოგრაფთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც განიხილავს გამოყენებითი გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებს. მის მუშაობაში საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი სპეციალისტები.

სიმპოზიუმი წინ უძღვის გეოგრაფთა XXIII საერთაშორისო კონგრესს. იგი თავის მუშაობას 28 ივლისს შეუდგება მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახსნელში.

სიმპოზიუმისა და კონგრესის გამართვის გამო ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ხუბულური ესაუბრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტს თეიმურაზ დავითაიას და მისგან მას რამდენიმე კითხვით.

— უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ გვესაუბროთ კონგრესზე, გაგვაცნოთ, რა ძირითად საკითხებს განიხილავენ მასზე და როგორ წარიმართება გეოგრაფთა ამ დიდი ფორუმის მუშაობა.

— გეოგრაფთა საერთაშორისო კონგრესების გამართვას დიდი ტრადიცია აქვს. ეს კონგრესები 1871 წლიდან ეწყობოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანაში იგი პირველად იმართება. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი პლანეტის 80 ქვეყნის მეცნიერები, მოელიან 3.000 უცხოელ სტუმარს, რომელთაც 2000 საბჭოთა გეოგრაფი გაუწევს მასპინძლობას.

კონგრესი განიხილავს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს. კერძოდ, საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისა და გეოგრაფიული განლაგების პრობლემებს, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, ბუნების დაცვის, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში გეოგრაფიული მეცნიერების სწავლების გაუმჯობესების, ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებისა და სხვა საკითხებს.

პროგრამის თანახმად, 12-დან 27 ივლისამდე საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებში ტარდება 30 წინასაკონგრესო სამეცნიერო სიმპოზიუმი. საქართველოში ორი სამეცნიერო სიმპოზიუმი იმართება. ერთი ზღვის ნაპირების დინამიკის პრობლემებს ეძღვნება, ხოლო მეორე — ვამოყენებითი გეოგრაფიის საკითხებს. ამ სიმპოზიუმების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მრავალი ქვეყნის მეცნიერები.

ზღვის ნაპირების დინამიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი გუშინ, 19 ივლისს სოჭში შეუდგა მუშაობას, შემდეგ იგი გაგრძელდება სოხუმში და მუშაობას თბილისში დაამთავრებს.

გამოყენებითი გეოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი კი დღეს იხსნება თბილისში. ორივე სიმპოზიუმი 25 ივლისს დაიხურება და მისი მონაწილეები მოსკოვს გაემგზავრებიან.

სიმპოზიუმებზე მოხსენებების ერთ მესამედს საბჭოთა მეცნიერები წაიკითხავენ. მათ შორის აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მეცნიერები.

ზღვის ნაპირების დინამიკისა და ვამოყენებითი გეოგრაფიის პრობლემებზე სიმპოზიუმების თბილისში მოწვევა შემთხვევითი არ არის. საქართველოში ამ საკითხებზე მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს და ქართველ მეცნიერებს საინტერესო შედეგებიც აქვთ მიღებული.

ქართველი მეცნიერების მოხსენებები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიც არის შავი ზღვის ნაპირების დაცვისა და გამაგრების მეცნიერული საფუძვლები, კოლხეთის დაბლობის დაჭაობების მიზეზები და მათი დაშრობის ღონისძიებანი, წყლის რესურსების შესწავლისა და მათი გამოყენების მეცნიერული საფუძვლები, რაიონული დაგეგმარება, მრეწველობის განლაგების კანონზომიერებანი, ტრანსკავკასიის რკინიგზის დაპროექტების გეოგრაფიული ასპექტები და მრავალი სხვა.

— რას გვეტყვით კონგრესის პროგრამის შესახებ, როგორ მოეწყობა მისი მუშაობა?

— კონგრესზე იმუშავებს 10 სექცია. ვაიმართება ხუთი მეთოდური სიმპოზიუმი და სამი მეთოდური სემინარი. მოეწყობა ექსკურსიები, რომელზეც ეგზამინირებული იქნება გეოგრაფიული რუკები, ატლასები, სამეცნიერო ლიტერატურა.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო-საწარმოო პალატა საზღვარგარეთის ფირმებთან ერთად აწყობს ხელსაწყოებს, დანადგარებს, ინსტრუმენტული მასალების კონცერციულ გამოფენას.

ქართველი მეცნიერები კონკრესზე საინტერესო მოხსენებებით წარდგებიან და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სექციების მუშაობაში.

კონგრესი 3 აგვისტოს დაამთავრებს მუშაობას და იმავე დღეს გაიხსნება VIII საერთაშორისო კარტოგრაფიული კონფერენცია. 4 აგვისტოდან კი გეოგრაფიული კონგრესისა და კარტოგრაფიული ასოციაციის მონაწილეთათვის მოეწყობა ექსკურსიები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 15 მიმართულებით.

ჩვენი სტუმრები ეწვევიან ქვეყნის სხვადასხვა რაიონებს დასავლეთის საზღვრებიდან ციმბირამდე და იაკუტიამდე, ამაერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებს.

საქართველოში ვვიწვევთ ოთხი ექსკურსია. მარშრუტებია — ორჯონიკიძე-თბილისი-ქუთაისი-ბათუმი-სოხუმი; მოსკოვი-ბაქო-ერევანი-თბილისი-მოსკოვი. სტუმრების ერთი ნაწილი გაემგზავრება კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის მუშაობის გასაცნობად.

იმედს გამოვთქვამთ, რომ გეოგრაფთა XXIII საერთაშორისო კონგრესი ხელს შეუწყობს ახალი სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას და ძველის განმტკიცებას, თანამშრომლობის ატმოსფეროს კიდევ უფრო გაჯანსაღებას, თავის წვლილს შეიტანს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მეგობრობის საქმეში.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲚᲐᲑᲐ

ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

ᲗᲣ ᲒᲔᲛᲘ ᲘᲚᲣᲞᲔᲑᲐ

ᲒᲓᲐᲜᲐᲙᲘᲡ „სტოგის“ გემთსაშენში შეიქმნა საშველი ქამრის ახალი მოდელი. სპეციალური კონსტრუქცია საიმედოდ აკავებს ადამიანის თავს წყლის ზედაპირზე. ახალ სარტყელს აქვს ნაოთრა, სასტვენი და წყლის შესაღები ფხვნილით სავსე პაკეტი, რომლის წყალობით წყალწაღებულის შემჩნევა შორი მანძილიდანაც კი შეიძლება.

ᲢᲘᲢᲘᲙᲐᲙᲘᲡᲞᲘᲠᲔᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ

მაღალმთიანი ტიტიკაკის ტბის ნაპირას მცხოვრები ინდიელი ფეხბურთელები თავიანთ მინდორზე ყოველთვის იმარჯვებენ. მათი წარმატებების საიდუმლოა ლელქაში, რომლისგანაც აქ ყველაფერს აშენებენ: ბრტყელფსკერიან ნავებს, სახლებს და, ასე განსაჯეთ, მცურავ კუნძულებსაც. ტბაზე ჩამოსული ტურისტები ინდიელთა სოფლის „მიწაზე“ წონასწორობას ძლივძლივობით იცავენ: იგი ყოველ ფეხის გადადგმაზე ამოძრავდება ხოლმე. წარმოიდგინეთ, რა ემართება შეუჩვეველ კაცს, როცა ფეხბურთის თამაშობს მინდორზე, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირხვევა!

ᲕᲘᲡ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲩᲐᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲚ?

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ. ასეთი დასკვნა გამოიტანეს ინდოეთში სპეციალურად შექმნილი კომისიის წევრებმა. მათ გამოიანგარიშეს, რომ ირლანდიის თვითეული მცხოვრები საშუალოდ წელიწადში ოთხ კილოგრამამდე ჩაის ყიდულობს. ბევრად არ ჩამორჩებიან მათ ინგლისელები. მესამე ადგილი კი ახალზელანდიელებს უკავიათ: თვითეულ მათგანზე წელიწადში დაახლოებით 2,5 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოდის.

(ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ).

საქართველოს მათემატიკური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელმოხვეჭილი მეცნ